„ვამტკიცებ"
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი სოფიო გვეტაძე
"25" 12 1877 2023 წ.

საქართველოს ჩემპიონატი 20 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის -
"კახი ჩიგოგიძის თასი"
18 - 27 იანვარი 2024 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**1. ორგანიზატორი:**

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

**2. ღონისძიების მართვა:**

განსაკუთრებულ / გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

**3. ჩატარების ვადები და ადგილი:**

18.01-27.01. 2024 წ. ქ. თბილისი, ჭადრაკის სასახლე, კოსტავას 29.

**4. მონაწილენი:**

ტურნირში დაიშვებიან 2004 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებული საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები. ყველა მონაწილეს უნდა ქონდეს გადახდილი 2024 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი **(დანართი 1)** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ხოლო, 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს კი ასევე, დამატებით შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA
სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

**5. სისტემა და კვალიფიკაცია:**

- ტურნირი ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად.
- დაითვლება ფიდეს რეიტინგი.

**6. დროის კონტროლი:**

ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 90 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 30 წამის დამატებით.

**7. რეგისტრაცია და ტურნირის საწევრო შესატანი:**

7.1. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/UFL1sqAFveXHyjdr6 ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) პირადობის (დაბადების) მოწმობის ასლი; 2) საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ტურნირის საწევრო შესატანის (30 ლარი) გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2024 წლის 16 იანვარი 18:00 სათი.

ნატა ალავიძე: ელ-ფოსტა - n.alavidze64@gmail.com მობ: 558 11 86 83

თითოეული მონაწილის ტურნირის საწევრო შესატანია - 30 ლარი.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ტურნირის საწევრო შესატანის საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: GE34BG0000000129766701. ბანკის კოდი BAGAGE22
საბანკო საკომისიო მომსახურეობის თანხას იხდის გადამხდელი პირი.

7.2. სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან ტურნირის საწევრო შესატანიდან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციის დასრულებამდე (16 იანვრის 18.00 საათამდე) წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტებს.

7.3. დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში საწევრო შესატანია 60 ლარი.

7.4. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

**8. თაი- ბრეიქი:**

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

**9. ტურნირის განრიგი:**

| ტური | რიცხვი | საათო |
|---|---|---|
| ჩამოსვლის დღე | 18 იანვარი | |
| I ტურის კენჭისყრა | 19 იანვარი | 12:00 |
| გახსნა | 19 იანვარი | 14:45 |
| I ტური | 19 იანვარი | 15:00 |
| II ტური | 20 იანვარი | 15:00 |
| III ტური | 21 იანვარი | 15:00 |
| IVტური | 22 იანვარი | 15:00 |
| Vტური | 23 იანვარი | 15:00 |
| VI ტური | 24 იანვარი | 15:00 |
| VII ტური | 25 იანვარი | 15:00 |
| VIII ტური | 26 იანვარი | 15:00 |
| IX ტური | 27 იანვარი | 15:00 |
| დახურვა | 27 იანვარი | 19:00 |

**10. გამარჯვებულები:**

- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით.
- II-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით.
- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაფინანსდებიან 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატზე.

**ეროვნული წოდების და თანრიგის მინიჭება:**

- I ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს მიენიჭებათ სპორტის ეროვნული ოსტატის წოდება (შესაბამისად ვაჟთა და ქალთა).
- II - III ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს მიენიჭებათ სპორტის ეროვნული ოსტატობის კანდიდატის წოდება.
- IV - X ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს მიენიჭებათ I თანრიგი.
- II თანრიგი მიენიჭებათ მოჭადრაკეებს, რომლებიც აიღებენ ქულათა 30% და მეტს.

**11. საერთო წესები:**

- ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება;
- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 30 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.
  მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 100 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

**12. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:**

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - დათო კოდუა

მთავარი მსაჯი: საერთაშორისო არბიტრი - მარგალიტა თანდაშვილი